სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

13 / თებერვალი / 2025 წ.

KA080122956496325

№ **531**

განკარგულება

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის

დამტკიცების თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში საჭირო პერსონალურ მონაცემთა დამუშავების გზებისა და ფორმების, დასამუშავებელი მონაცემების მოცულობისა და მონაცემთა დამუშავებისას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 აპრილის № 306 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს თანდართული „სახელმწიფო შესყიდვების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი“.

2. ზედამხედველობა ამ განკარგულების აღსრულებაზე დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

3. არაუგვიანეს 2025 წლის 4 მარტისა:

ა) დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის“ სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება, აგრეთვე, სათანადო ღონისძიებების განხორციელება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტთან მისადაგების მიზნით;

ბ) დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს აღნიშნული განკარგულება გააცნოს ყველა დასაქმებულს, ასევე – ახალ თანამშრომელს სამსახურში მიღებისას.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში
პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

თბილისი, 2025 წ. თებერვალი

შესავალი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო[1] (შემდგომ - სააგენტო) პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას მოწოდებულია უზრუნველყოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათ შორის პირადი ცხოვრების, პირადი სივრცის, კომუნიკაციის ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას, სააგენტო მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის, სხვა სამართლებრივი აქტებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში სახელმწიფოში აღიარებული პოლიტიკისა და შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში[2] (შემდგომ – ელექტრონული სისტემა ან სისტემა) მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების პროცესში სააგენტო მოწოდებულია უზრუნველყოს, რომ მას ჰქონდეს შემოღებული კონფიდენციალურობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესები/რეგულაციები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებთან და, ასევე, პერსონალური მონაცემების დამუშავება განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პრინციპების დაცვით. ხოლო, თუ მონაცემთა დამუშავებისას კანონმდებლობა ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის თანხმობას, მოიპოვოს ან წინმსწრებით მოპოვებული ჰქონდეს აღნიშნული თანხმობა (მატერიალური ან ელექტრონული წერილობითი ფორმით). თანხმობა უნდა იყოს ინფორმირებული, ნებაყოფლობითი, მკაფიო, კონკრეტული, მარტივი და გასაგები.

ელექტრონული სისტემა არის საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალური ვებპორტალი, რომელიც უზრუნველყოფს ღია, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიან გარემოს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი პირისათვის, კერძოდ, სისტემა საჯაროა და მასში ატვირთული ყველა ინფორმაცია, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად, ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებას და მის ზედამხედველობას უზრუნველყოფს სააგენტო. ამასთან, სისტემით სარგებლობა შეუძლია სააგენტოს, შემსყიდველ ორგანიზაციას, მიმწოდებელს და სტუმრის სტატუსის მქონე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. სისტემაში წინასწარი რეგისტრაცია სტუმრის სტატუსით მოსარგებლე პირისთვის სავალდებულო არ არის.

რეგისტრირებული მომხმარებელი (შემსყიდველი ორგანიზაცია ან მიმწოდებელი, რომელიც დარეგისტრირდა ელექტრონულ სისტემაში) აგრეთვე, **სტუმრის სტატუსით მოქმედი პირი** თავად აგებს პასუხს მის მიერ ელექტრონულ სისტემაში განთავსებული/ატვირთული დოკუმენტაციის/ინფორმაციის შინაარსზე, აგრეთვე, აღნიშნულ ინფორმაციასთან/დოკუმენტაციასთან მიმართებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვასა და ელექტრონულ სისტემაში განხორციელებული ყველა ქმედების იურიდიულ შედეგებზე. ამასთან, ისინი ვალდებულნი არიან მონაცემები დაამუშაონ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამავე კანონის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტებით

[1] https://procurement.gov.ge/ka/page/AboutAgency
[2] https://tenders.procurement.gov.ge/login.php

გათვალისწინებული ვალდებულებების აღსასრულებლად ან/და უფლებამოსილების განსახორციელებლად და ამ მიზნისთვის აუცილებელ/შესაბამის ფარგლებში და მოცულობით.

<u>სააგენტოს შესახებ</u>

სააგენტო არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და მონიტორინგს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიზნებია: სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა; გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობა, ობიექტურობა, არადისკრიმინაციულობა და გამჭვირვალობა; სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების კანონიერების მონიტორინგი; სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვა, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულებისა და ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში; ერთიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, განვითარება და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის შესაბამისად მიღებული/ გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების თანახმად:

- სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციას, შესყიდვების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, სრულყოფა და მასზე ზედამხედველობა წარმოადგენს. ამავდროულად, ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მიზნით, იგი უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი. ამდენად, **სააგენტო, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული ელექტრონული სისტემის ადმინისტრატორია, რომელიც ამავე კანონით განსაზღვრული მიზნებით, თავადაც ახდენს მონაცემთა დამუშავებას;**
- სააგენტო, შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორიცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა. ამდენად, **მონიტორინგის განხორციელებისას სააგენტო ახდენს მონაცემთა დამუშავებას;**
- სააგენტო, როგორც შესყიდვების პროცედურების კანონიერებაზე ზედამხედველობასა და შესყიდვების პროცესის რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრაზე უფლებამოსილი ორგანოს ერთ-ერთ ფუნქციას, კანონით გათვალისწინებული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ მიღებული სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების ელექტრონული სისტემის მეშვეობით შეთანხმება წარმოადგენს. ამდენად, **აღნიშნული გადაწყვეტილების შეთანხმებისას სააგენტო ახდენს მონაცემთა დამუშავებას;**

- სააგენტო წარმოადგენს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელიც კანონით დადგენილ შემთხვევებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით ახორციელებს საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვას. ამასთან, საქართველოს მთავრობის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე სააგენტო უზრუნველყოფს კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებას და საუკეთესო სატენდერო წინადადების გამოვლენას. ამდენად, **სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებით ან/და გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისას სააგენტო ახდენს მონაცემთა დამუშავებას;**
- ელექტრონულ სისტემაში ფუნქციონირებს რეგისტრირებული მომხმარებლის (შემსყიდველი ორგანიზაცია ან მიმწოდებელი) პროფილი, რომელშიც აისახება მონაცემები რეგისტრირებული მომხმარებლისა და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლების შესახებ. ამდენად, **რეგისტრირებული მომხმარებლის პროფილის შექმნის/ფუნქციონირების მიზნით სააგენტო ახდენს მონაცემთა დამუშავებას;**
- **ელექტრონულ სისტემაში, კერძოდ, სისტემის SMP მოდულში ფუნქციონირებს კომენტარის ველი, სადაც სტუმრის სტატუსით მოქმედი პირის მიერ კომენტარის დატოვებისას ასევე მუშავდება ამავე პირის პერსონალური მონაცემები.**

სააგენტო პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამავე კანონის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსასრულებლად ან/და უფლებამოსილების განსახორციელებლად და ამ მიზნისთვის აუცილებელ/შესაბამის ფარგლებში და მოცულობით. წინამდებარე ***„სახელმწიფო შესყიდვების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი“*** (შემდგომ - პოლიტიკის დოკუმენტი) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად, განსაზღვრავს ელექტრონულ სისტემაში განთავსებულ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შემდეგ კონკრეტულ პროცესებს (როლებს) სააგენტოს მიერ, როგორც:

- **ელექტრონული სისტემის ადმინისტრატორის** – ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების (მათ შორის, ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლის პროფილის შექმნის/ფუნქციონირების), განვითარებისა და მასზე ზედამხედველობის განხორციელებისას;
- **შესყიდვების პროცედურების კანონიერებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს** – მონიტორინგის განხორციელებისას, აგრეთვე გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების ელექტრონული სისტემის მეშვეობით შეთანხმებისას;
- **შემსყიდველი ორგანიზაციის** – ელექტრონული სისტემის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, მათ შორის ანგარიშგებისას, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისას და საუკეთესო სატენდერო წინადადების გამოვლენისას.

<u>პოლიტიკის დოკუმენტის მიზანი</u>

სააგენტოს მიერ შემუშავებული წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი პერსონალური მონაცემების დაცვისთვის გასატარებელი ღონისძიებებიდან ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომლის მიზანია ელექტრონული სისტემის გამოყენების მიმართულებით პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტის დანერგვა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია ელექტრონულ სისტემაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და დაცვა განხორციელდეს კანონშესაბამისად, კანონით გათვალისწინებული ნორმებისა და მოთხოვნების დაცვით, მონაცემთა სუბიექტის უფლებების არამართლზომიერი შელახვის გარეშე.

პოლიტიკა ვრცელდება სააგენტოს მიერ ელექტრონულ სისტემაში ფიზიკური პირების შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესებზე, მათ შორის, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებთან ერთად და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების მეშვეობით მონაცემების დამუშავების პროცესებზე. ის საკითხები, რომლებიც არ არის მოცემული ამ პოლიტიკის დოკუმენტში, რეგულირდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

<u>ტერმინთა განმარტება</u>

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;

დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით;

თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს.

მონაცემთა მიმღები – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელსაც მონაცემები გადაეცა, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა.

მონაცემთა მიმღების კატეგორია – მონაცემთა მიმღების კლასიფიკაცია/დაჯგუფება საქმიანობის სფეროს ან ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი – მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება;

მესამე პირი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, გარდა მონაცემთა სუბიექტისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა, სპეციალური წარმომადგენლისა და იმ პირისა, რომელიც უფლებამოსილია დაამუშაოს მონაცემები დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი დავალებით;

ინციდენტი – მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას;

თანხმობა – მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, წერილობით, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება.

<u>პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები</u>

სააგენტო ყველა კატეგორიის მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- პერსონალური მონაცემები მუშავდება კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად;
- პერსონალური მონაცემების მოპოვება/შეგროვება ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;
- პერსონალური მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. პერსონალური მონაცემები იმ მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება;
- დამუშავების პროცესი წარიმართება მხოლოდ ნამდვილი, ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში განახლებული მონაცემებით. დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი პერსონალური მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;
- პერსონალური მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება პერსონალური მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება განსაზღვრულია კანონით ან/და კანონის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით და პერსონალურ მონაცემთა შენახვა აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმატებული ინტერესების დასაცავად;
- პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იქნეს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.

<u>პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები</u>

სააგენტოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება შემდეგი საფუძვლებიდან ერთ-ერთის ან ერთდროულად რამდენიმე მათგანის არსებობის შემთხვევაში:

- მონაცემთა დამუშავება მოქმედი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული;

- კანონმდებლობის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია, ან მონაცემთა სუბიექტმა ის საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად;
- სუბიექტის მიერ მის შესახებ არსებული მონაცემების ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე თანხმობის განცხადების შემთხვევაში;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;
- სააგენტოსთვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საჭიროა ასეთი ტიპის მონაცემთა დამუშავება;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული შემდეგი ნორმატიული აქტებით დადგენილი დებულებების დასაცავად:

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის N19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესი და პირობები“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 მაისის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების წესი“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანებით დამტკიცებული „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები, “, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 30 ივლისის №8 ბრძანებით დამტკიცებული „კერძო შემსყიდველის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესყიდვების განხორციელებისა და ამ სისტემით სარგებლობის წესი და პირობები“.

<u>პოლიტიკის დოკუმენტის მოქმედების სფერო</u>

დოკუმენტის მოქმედების სფეროს წარმოადგენს ელექტრონულ სისტემაში სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ფიზიკური პირების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვა.

<u>მონაცემთა დამუშავებაზე სუბიექტის თანხმობა</u>

სააგენტო ამუშავებს სუბიექტის პერსონალურ მონაცემებს წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელსაც სუბიექტი ეთანხმება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, დანართი N1-ით განსაზღვრული ფორმით. ამასთან, **რეგისტრირებული მომხმარებელი, აგრეთვე, სტუმრის სტატუსით მოქმედი პირი თავად აგებს პასუხს მის მიერ ელექტრონულ სისტემაში განთავსებულ/ატვირთულ მონაცემებთან/ინფორმაციასთან/დოკუმენტაციასთან მიმართებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვასა და სისტემაში განხორციელებული ყველა ქმედების იურიდიულ შედეგებზე.**

<u>პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები</u>

სააგენტო წარმოადგენს ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა დამუშავების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, სააგენტო, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, ასევე წარმოადგენდეს დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს. ორივე შემთხვევაში სააგენტო იღებს ვალდებულებას გაითვალისწინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპები და მიღებული რეგულაციები/წესები.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი პერსონალურ მონაცემებს და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, ამუშავებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და ამავე კანონის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსასრულებლად ან/და უფლებამოსილების განსახორციელებლად და ამ მიზნისთვის აუცილებელ შესაბამის ფარგლებში და მოცულობით.

<u>მონაცემთა მიმღები ან მიმღების კატეგორია</u>

მონაცემთა მიმღები არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელსაც მონაცემები გადაეცა. ხოლო, **მონაცემთა მიმღების კატეგორია** არის მონაცემთა მიმღების კლასიფიკაცია/დაჯგუფება საქმიანობის სფეროს ან ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით. ხოლო **სტუმარი** არის „პირი, რომელსაც შესაძლებლობა აქვს, სისტემაში რეგისტრაციის გარეშე, გაეცნოს სისტემაში არსებულ ინფორმაციას რეგისტრირებული მომხმარებლებისა და ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ასევე პირდაპირ რეჟიმში დააკვირდეს ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის პროცედურებს და გაეცნოს სისტემის CMR, SMP და ePLAN მოდულებში არსებულ მონაცემებს. სტუმრის მიერ სისტემაში შესვლის შემდეგ, მობილური ტელეფონის ნომრის მეშვეობით ერთჯერადი ვერიფიკაციის გავლის შემთხვევაში, მას დამატებით აქვს შესაძლებლობა, დადგენილი წესით, წარადგინოს მოსაზრება SMP მოდულში შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე".

სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 მაისის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ი" ქვეპუნქტების თანახმად, **ელექტრონული სისტემა არის სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალური პორტალი https://tenders.procurement.gov.ge, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებას ღია, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში.** ამდენად, ელექტრონულ სისტემაში გასაჯაროებული/დაცული ინფორმაცია

ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, რომლებიც შესაბამისად წარმოადგენენ მონაცემთა მიმღებ პირებს.

<u>მონაცემთა სუბიექტების წრე</u>

პოლიტიკის დოკუმენტის მიზნებისთვის, ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა სუბიექტს წარმოადგენს ელექტრონულ სისტემაში დაცულ დოკუმენტაციაში/მონაცემებში მითითებული ფიზიკური პირები, აგრეთვე, სტუმრის სტატუსით ელექტრონულ სისტემაში შესული პირი, ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლად რეგისტრირებული ფიზიკური პირები, რეგისტრირებული მომხმარებლის უფლებამოსილი წარმომადგენლები და ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლად რეგისტრირებული პირების მიერ ელექტრონული სისტემის საშუალებით წარდგენილ დოკუმენტაციაში/მონაცემებში მითითებული ფიზიკური პირები.

პერსონალური მონაცემების ტიპები	**რისთვის გამოიყენება პერსონალური მონაცემები**	**ლეგიტიმური ინტერესი და სამართლებრივი საფუძველი**
საკონტაქტო ინფორმაცია, ICT[3] და საკომუნიკაციო, ლოკაციასთან დაკავშირებული, ელექტრონულ სისტემაში დაცული სხვა რეკვიზიტები/ მონაცემები	იმის შესასწავლად, თუ როგორ იყენებენ ელექტრონულ სისტემას მომხმარებლები ელექტრონული სისტემის გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე	კანონონისმიერი ინტერესები; კანონისმიერი ვალდებულება
ფინანსური ინფორმაცია, ტრანზაქციასთან დაკავშირებული ინფორმაცია, სახელშეკრულებო ინფორმაცია, დოკუმენტური ინფორმაცია, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (მათ შორის, ბიომეტრიული)	იმის შესასწავლად, თუ როგორ იყენებენ ელექტრონულ სისტემას მომხმარებლები ელექტრონული სისტემის გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე	კანონონისმიერი ინტერესები; კანონისმიერი ვალდებულება

[3] Information and Communication Technologies

პერსონალური მონაცემების ჯგუფები

სააგენტო ელექტრონულ სისტემაში იყენებს და ამუშავებს სხვადასხვა ტიპის პერსონალურ ინფორმაციას, რომელიც წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში შემდეგნაირად ჯგუფდება:

პერსონალური მონაცემების ტიპები	აღწერა
ფინანსური	ფინანსური მდგომარეობა, სტატუსი და ფინანსური საქმიანობის ისტორია
საკონტაქტო	პირის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი, საოფისე/საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ვებგვერდის მისამართი, მისამართი სოციალურ ქსელებში, სხვა WebLinks და სხვა სახის საკონტაქტო ინფორმაცია
სოციო-დემოგრაფიული	ინფორმაცია სამსახურის/პროფესიის, ასევე, მოქალაქეობის, განათლების შესახებ; ინფორმაცია სოციალური სტატუსის/ შემოსავლების შესახებ
ტრანზაქციასთან დაკავშირებული	ფიზიკური პირ(ებ)ის ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაცია, როგორიცაა საბანკო რეკვიზიტები, ანგარიშის ნომერი / ნომრები
სახელშეკრულებო	საქონლის მიწოდებასთან, მომსახურების გაწევასთან და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია
დოკუმენტური	სხვადასხვა ფორმატის დოკუმენტებსა და მათ ასლებში ასახული ინფორმაცია ფიზიკური პირ(ებ)ის შესახებ; ასეთ დოკუმენტებს მიეკუთვნება პასპორტი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დაბადების მოწმობა, განათლების შესახებ დიპლომი / სერტიფიკატი, ავტომობილის მართვის მოწმობა და პიროვნების მაიდენტიფიცირებელი სხვა დოკუმენტები
განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები	ბიომეტრიული მონაცემი; ნასამართლობა

პერსონალური მონაცემების ელექტრონული სისტემის შესაბამის ველებში შეყვანა/ატვირთვა მომხმარებლების მიერ ავტომატურად იწვევს ელექტრონული სისტემის მოხმარების მოპოვების უფლებას, ინფორმაციის/მონაცემების გასაჯაროებას და წარმოადგენს სახელმწიფო სერვისების მიღების (როგორიცაა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ოპერაციები) წინაპირობას. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნული წესები ვრცელდება ელექტრონულ სისტემაში დაცულ ყველა სახეობის ჩანაწერზე, მოდულზე თუ სერვისზე.

წყაროები, საიდანაც მოიპოვება პერსონალური მონაცემები

სააგენტო პერსონალურ მონაცემებს მოიპოვებს ელექტრონულ სისტემაში წარდგენილი/ატვირთული/დაცული ინფორმაციის მეშვეობით. პოლიტიკის დოკუმენტის მიზნებისთვის, ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა სუბიექტს წარმოადგენს ელექტრონულ სისტემაში დაცულ დოკუმენტაციაში/მონაცემებში მითითებული ფიზიკური პირები, აგრეთვე, სტუმრის სტატუსით ელექტრონულ სისტემაში შესული პირი, ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლად რეგისტრირებული ფიზიკური პირები, რეგისტრირებული მომხმარებლის უფლებამოსილი წარმომადგენლები და ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლად რეგისტრირებული პირების მიერ ელექტრონული სისტემის საშუალებით წარდგენილ დოკუმენტაციაში/მონაცემებში მითითებული ფიზიკური პირები. მონაცემების მიღება ხდება, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია/მიმწოდებელი რეგისტრირდება სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში და წარადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილ ინფორმაციას და დოკუმენტაციას.

<u>პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადები</u>

პერსონალური მონაცემები ინახება ელექტრონულ სისტემაში მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

<u>მონაცემთა გადაცემა</u>

კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, სააგენტომ შესაძლოა, პერსონალური ინფორმაცია გადასცეს (ხელმისაწვდომი გახადოს) დაინტერესებულ პირს, რომელიც ითხოვს სააგენტოსგან ელექტრონულ სისტემაში დაცულ/აღრიცხულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

<u>პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა</u>

სააგენტოს მიერ პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა ხორციელდება „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ კონვენციის, სხვა საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

<u>მონაცემთა სუბიექტის უფლებები</u>

სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვა წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და ამ პროცესებში ჩართული თანამშრომლების მიერ ტარდება შესაბამისი ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებები, რათა დაცული და უზრუნველყოფილი იყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებები. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის

თანახმად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, მიიღოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- რომელი მონაცემი მუშავდება და რა მიზნით;
- მონაცემთა შეგროვება/მოპოვების წყარო;
- მონაცემთა შენახვის ვადა;
- თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, ასევე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ;
- თუ მონაცემთა გადაცემა ხდება მესამე პირისთვის, მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მიმღებთა კატეგორიები, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის შესახებ.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს სააგენტოში მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა გაცნობისთვის ან/და მონაცემთა ასლების გაცემისთვის:

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური;
- სააგენტოს მიერ დადგენილია საფასური მონაცემთა შენახვის ფორმისგან განსხვავებული ფორმით მათი გაცემისთვის დახარჯული რესურსის ან/და მოთხოვნის სიხშირის გამო.

<u>პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული მომხმარებლის უფლებები</u>

ელექტრონული სისტემის მომხმარებლებს, თავისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით აქვთ უფლება იცოდნენ:

- მუშავდება თუ არა პირის პერსონალური მონაცემები;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ან/და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზანი;
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;
- რა გზით შეგროვდა პერსონალური მონაცემები;
- ვის გადაეცა პერსონალური მონაცემები;
- პერსონალურ მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

<u>მონაცემთა სუბიექტის მხრიდან სააგენტოსთვის მიმართვის უფლება</u>

სააგენტოში უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის მხრიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით მიმართვის უფლება. აღნიშნული მოთხოვნის შემთხვევაში საკითხი განიხილება და ხორციელდება მყისიერი რეაგირება სააგენტოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ან/და შესაბამისი თანამშრომლების მიერ.

<u>ინციდენტებზე რეაგირება</u>

ინციდენტის გამოვლენის შემთხვევაში სააგენტო, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, ვალდებულია ინციდენტთან დაკავშირებით არსებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ წარუდგინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებ სავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

მონაცემთა დაბლოკვა წაშლის და გასაჩივრების უფლება

ელექტრონულ სისტემაში სტუმრის სტატუსით მოქმედი პირის, მომხმარებლად რეგისტრირებული პირის, აგრეთვე რეგისტრირებული მომხმარებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ელექტრონული სისტემის საშუალებით წარდგენილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, ამ დოკუმენტაციაში/ინფორმაციაში მითითებული მონაცემები არ ექვემდებარება წაშლას, განადგურებას ან დაბლოკვას. მოთხოვნის მიუხედავად, სააგენტოს მიერ მასზე საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულებიდან გამომდინარე, დაუშვებელია მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებაზე თანხმობის გამოთხოვა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.
მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს „საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან/და სასამართლოს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის აღსრულება

პოლიტიკის დოკუმენტის აღსრულების უზრუნველსაყოფად სააგენტო იღებს სათანადო ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს დამატებით გაიდლაინებს/ინსტრუქციებს და შესაბამის თემატიკას ჩართავს სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ მიმდინარე ტრენინგკურსებში და/ან ღონისძიებებში.

პოლიტიკის დოკუმენტის გადახედვა

სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განაახლოს აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დაუყოვნებლივ განთავსდება სააგენტოს ვებგვერდზე https://procurement.gov.ge/.

<u>დანართი 1</u>

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის ფორმა

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე წინამდებარე თანხმობის გაცემით, თქვენ, როგორც სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომ - ელექტრონული სისტემა) მომხმარებელი ან/და მასში დარეგისტრირებული პირი, სტუმრის სტატუსის მქონე პირი ან/და რეგისტრირებული მომხმარებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი **ადასტურებთ თქვენს წინასწარ თანხმობას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნების გათვალისწინებით <u>დამუშავდეს თქვენი, როგორც მონაცემთა სუბიექტის, შემდეგი ტიპის პერსონალური მონაცემები (სრულად ან ნაწილობრივ):</u>**

- სახელი და გვარი;
- პირადი ნომერი;
- რეგისტრირებული ან/და ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი;
- ტელეფონის/მობილური ტელეფონის ნომერი;
- ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- მონაცემთა სუბიექტის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები – ბიომეტრიული მონაცემები და ნასამართლობა;
- ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება მონაცემთა სუბიექტს და რის შედეგადაც შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება.

წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე თანხმობის გაცემით თქვენ ადასტურებთ, რომ თქვენთვის ცნობილია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- ✓ რეგისტრირებული მომხმარებელი, აგრეთვე სტუმრის სტატუსით მოქმედი პირი თავად აგებს პასუხს მის მიერ ელექტრონულ სისტემაში განთავსებულ/ატვირთულ ინფორმაციასთან/დოკუმენტაციასთან მიმართებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ სქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვასა და ელექტრონულ სისტემაში განხორციელებული ყველა ქმედების იურიდიულ შედეგებზე;
- ✓ ელექტრონულ სისტემაში სტუმრის სტატუსით მოქმედი პირის, მომხმარებლად რეგისტრირებული პირის, აგრეთვე რეგისტრირებული მომხმარებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ელექტრონული სისტემის საშუალებით წარდგენილი მონაცემები/დოკუმენტაცია/ინფორმაცია არ ექვემდებარება წაშლას, განადგურებას ან დაბლოკვას. მოთხოვნის მიუხედავად, სააგენტოს მიერ მასზე საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულებიდან გამომდინარე, დაუშვებელია მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებაზე თანხმობის გამოთხოვა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

<u>ეთანხმებით თუ არა თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას, როგორც აღნიშნულია ზემოთ?</u>

დიახ, თანახმა ვარ !